



**ბუღალტრული აღრიცხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის  
ზედამხედველობის სამსახური**



საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული  
ფედერაციის სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარების შესახებ

**ამონაწერი**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ -  
სამსახური) 2023 წლის 18 იანვარს (რეგისტრაციის N7851/16) განცხადებით წარედგინა ა(ა)იპ -  
საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის  
(შემდგომ - აბფმფ) (ს/ნ 404921670) სასერტიფიკაციო პროგრამა, რომლითაც მოთხოვნილ იქნა  
სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარება.


„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის,  
„პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო  
პროცესის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და  
აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებისა და  
სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესის, სპეციალიზებული გამოცდების  
განმახორციელებელი ორგანოს და საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის  
პროფესიული სერტიფიცირებისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამების ან ცალკეული  
დისციპლინების (საგნების) აღიარების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დასრულდეს აბფმფ-ს სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება;
5. მიენიჭოს აბფმფ-ს სასერტიფიკაციო პროგრამას ნომერი - SARAS-IPD-0005
6. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს აბფმფ-ს მიერ წარმოდგენილი სასერტიფიკაციო  
პროგრამის ამ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, სტანდარტთან და კანონმდებლობასთან  
შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება;
7. დაევალოს აბფმფ-ს აღიარებული სასერტიფიკაციო პროგრამის საბოლოო რედაქციის ფედერაციის  
ვებგვერდზე გამოქვეყნება.
8. გადაწყვეტილება გაეგზავნოს აბფმფ-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64, პეკინის ქ. N29 - ბულაჩაურის ქ. N7ა).

თორნიკე ძაგნიძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

<https://edoc.mof.ge/public/#/922-16-4-202309211755>

